სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი სახელმწიფოს კონტროლით (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო) დამოუკიდებლად უზრუნველყოფს საქართველოში საარქივო საქმის მართვას, საქმისწარმოების სრულყოფასა და ეროვნული საარქივო ფონდის განვითარებას.

ეროვნული არქივის ძირითადი საქმიანობა:

- ეროვნული საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალურ ან/და ელექტრონულ მატარებელზე
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა (მათ შორის, ელექტრონული ფორმი)
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფა, კონსერვაცია
- დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო ფონდის შექმნა
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტებთან თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში
- ეროვნული საარქივო ფონდის გამოყენება, პოპულარიზაცია
- სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობების მომზადება-გაცემა.

2017 წელს გაწეული მომსახურებებისა და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ

გამოფენები

- „აკაკი შანიძე - 130“ (თბილისი, ქუთაისი)
- „ქართული ძველნაბეჭდი წიგნები“
- „დღესასწაული“
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და გივი ღამბაშიძის „ომის დღეები“ - წიგნის პრეზენტაცია
- „მიუსაფარი ბავშვების ფოტონამუშევრები''
- „თბილისი - ურბანული ცვლილებები“
- „კოტე მიქაბერიძე“
- „რეპრესიები საქართველოში“
- „გურამ შარაძის ხსოვნის საღამო“
- „არქივის ღია კარი“ - არქივების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოქალაქეთა არქივსაცავებში დაშვება და ეროვნულ არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტების გაცნობა
- „ქართული სახარება-პალიმფსესტი UNESCO-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში“

საჯარო ლექციები

- ჰიროტაკე მაედა - „ქართული წყაროების მნიშვნელობა გვიანი შუასაუკუნეების ისტორიის კვლევაში“

- ჯილიან ევისონი - „უორდროპების კოლექცია: ქართული წიგნები და არქივები ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკაში“

იუნესკო

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შეიტანეს ეროვნულ არქივში დაცული უძველესი დოკუმენტი – ქართული პალიმფსესტი. უძველესი შრე: ასომთავრული. ზედა ქრონოლოგიური ზღვარი: IX-Xს; მეორე და მესამე შრეები -ნუსხური: XII-XIV სს. ანდერძ-მინაწერები - მხედრული: XIII-XVIII სს.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2017 წლის ოქტომბერში ეროვნულ არქივში ჩატარდა მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“. კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, ინდონეზიის, ლიტვის, პოლონეთის, ფინეთის საარქივო და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

პროექტები

- საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“. თბილისის, გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთისა და რუსთავის 74 საჯარო სკოლაში მოეწყო პრეზენტაციები, გაიმართა ფინალური ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები.
- „ერთი ფილმის ისტორია" (წარმოადგენს საქართველოს ეროვნული არქივის ვიდეოპროექტის ციკლის ნაწილს, რომელშიც ავტორები თავად ყვებიან ქართული ფილმების შექმნის ისტორიებს)
- ქართული ზღაპრების ახალი ჩანაწერები
- საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაწყება საქართველოს პირველი რესპუბლიკის თემაზე
- „კვირის დოკუმენტი“ - საარქივო ფონდებში დაცული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების საზოგადოებისთვის წარდგენა კვირაში ერთხელ
- „ხელნაწერთა ანალიტიკური კატალოგი“ (ხელნაწერის აღწერილობა)
- ეროვნულ არქივში დაცული ფონდების მოძიება ელექტრონული კატალოგით - 2017 წელს შესაძლებელი გახდა ეროვნული არქივის ვებგვერდზე (http://archives.gov.ge/ge/elektronuli-katalogebi).
- „ეროვნული არქივის ექსპედიციები“ - რაც ითვალისწინებს საქართველოს ისტორიული ძეგლების შესახებ ვიდეო და ფოტომასალის შეგროვებას და საარქივო ფონდების თანამედროვე დოკუმენტებით შევსებას. პროექტის ფარგლებში არქივის თანამშრომლების მიერ გადაღებულ იქნა - ვარძია, დმანისი, გრემი, გელათი, წუღრუღაშენი, ჯვრისა და ატენის სიონის მონასტერი.

ურთიერთობა საინფორმაციო საშუალებებთან

- სატელევიზიო სიუჟეტი - 190
- რადიოგადაცემა - 25
- საგაზეთო სტატია - 50
- ინტერნეტსტატია - 387

გამოცემები

- ნიკო ბურის დღიური
- მარო თარხნიშვილისა და გივი ღამბაშიძის მოგონებები
- სამეცნიერო სტატიები და დოკუმენტების პუბლიკაციები დემოგრაფიის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ინფრასტრუქტურის ისტორიის საკითხებზე
- მონოგრაფია „ქალაქ თბილისის თვითმმართველობის პრაქტიკული მოღვაწეობა“
- დიმიტრი სილაქაძის წიგნი „საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება“

მოქალაქეთა მომსახურება

- მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული პროგრამის საშუალებით 2017 წელს გაიცა 42796 საარქივო ცნობა (დადებითი - 33001, უარყოფითი - 9795)
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში პასუხი გაეცა 156672 განცხადებას
- 2017 წელს ეროვნული არქივი მოემსახურა 1858 მკვლევარს, მათ შორის 100 უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

დიგიტალიზაციის პროექტი

წლის მანძილზე დასკანერდა - საარქივო წერილობით დოკუმენტები 210 381 ფაილი და 34 000 ფოტოდოკუმენტი.

კინოფოტოფონოდოკუმეტების გაციფრება

გაციფრა 300 შესანახი ერთეული 35 მმ-იანი კინოფირი და 200 ფონოგრამა (მაგნიტური ფირი); შეიქმნა 1419 ქაღალდზე ნაბეჭდი ფოტოპოზიტივის, 5788 ფირისა და მინის ნეგატივის ციფრული ასლები და ასევე შეიქმნა სადაზღვევო ფონდი საქართველოს პარლამენტიდან მიღებულ 76 აუდიოკასეტაზე.

დოკუმენტების რესტავრაცია და მიკროფილმირება

დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის მიერ რესტავრირებული იქნა 22503 ფურცელი - ტექნიკური ნახაზები, რუკები, ფოტოპოზიტივები, წიგნის ტყავის ყდები, სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში დაცული გაზეთები.

საკონსერვაციო-პროფილაქტიკური სამუშაოები შეასრულება

შესრულდა საკონსერვაციო-პროფილაქტიკური სამუშაოები - დამუშავდა 2016 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან შემოსული დოკუმენტები, კინონარკვევები და მხატვრული ფილმები. სულ - 1724 შესანახი ერთეული.

მონაცემთა ბაზის განახლება

- მონაცემთა ბაზაში შეყვანილია 10260 სააქტო ჩანაწერი. საკომლო წიგნებზე მუშაობის პროცესში აღწერილი, დაჯგუფებული და ელექტრონულ ბაზაში შეტანილ იქნა 1935-2009 წწ. 48400 საკომლო ჩანაწერი.
- დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საარქივო ფონდის დოკუმენტების შესწავლა და 2001-2003 წლებში გამოცემული ბრძანებულებებისა და განკარგულებების ანოტირება, აგრეთვე ამავე წლებში დაჯილდოებულ და შეწყალებულ პირთა ანბანური საძიებლის შედგენა. შედგენილ

იქნა 2001-2003 წლების 6455 დოკუმენტის ანოტაცია, აგრეთვე შეტანილ იქნა ბაზაში მონაცემი 1436 შეწყალებულ და 6158 დაჯილდოებულ პირზე.

ეროვნული სარქივო ფონდის შევსება

2017 წელს ეროვნული საარქივო ფონდი შეივსო:

- მმართველობითი ხასიათის დოკუმენტებით - საქართველოს პარლამენტი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო აუდიტის სამსახური; თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრი; საქართველოს სახელმწიფო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „საქსახმიწპროექტი“; ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურისა და დაგეგმარების განყოფილება; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ტელევიზიის, რადიომაუწყებლობის, პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სახელმწიფო დეპარტამენტები; ქალაქ თბილისის მერია და რაიონული გამგეობები და ა.შ.
- საზოგადო მოღვაწეთა პირადი ფონდებით - საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მერაბ ჯალიაშვილი, კინორეჟისორი ნანა მჭედლიძე; გიორგი ლეონიძე; აკაკი შანიძე; მზექალა შანიძე; ნიკა ხოფერია; მიხეილ ქართველიშვილი; ლევან გიგინეიშვილი;
- ვიდეო და აუდიომასალებით - სპექტაკლები: „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „დონ ჟუანი“. ფილმები: „მედიტაცია“; „პილიგრიმობა“; „არტისტის დაბრუნება“; „ვივალდი; ისაკაძე და ზღვა“; „ალილო“; „მრავალჟამიერ“; „გია ყანჩელი“; კვარტეტი „თბილისი“; „წინანდალი“ და სხვ. ასევე სურათები ნეგატივის, სლაიდისა თუ ელექტრონული ფაილების სახით. ფონოჩანაწერები გრამფირფიტებზე, კომპაქტ-დისკებსა და კასეტებზე.

ინფრასტრუქტურა

- ქუთაისში გაიხსნა ცენტრალური არქივის ახალი შენობა
- გაიხსნა კეთილმოწყობილი მკვლევართა დარბაზი, რომელიც ერთდროულად იტევს 45 მკვლევარს (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.N1), სადაც ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტით დაინტერესებული პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ გაეცნოს დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებს.